საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2745 2017 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისთვის თავის სარგებლობაში არსებული ფართის აუქციონის გარეშე, იჯარით გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას მიეცეს თანხმობა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №52-ში მდებარე თავის სარგებლობაში არსებული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.15.05.003.079) 259.33 კვ. მ ფართი (პირველი სართულის 110.64 კვ. მ; ანტრესოლის 102.6 კვ. მ და სარდაფის 46.09 კვ. მ) 5 (ხუთი) წლის ვადით, თვიური სარგებლობის საფასურით – 5964.59 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარში, აუქციონის გარეშე იჯარით გადასცეს სს „თიბისი ბანკს“ (ს/ნ: 204854595), საბანკო საქმიანობის განხორციელების მიზნით.

№1

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**